



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/54

„16“ ივნისი 2014წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების წევრობის კანდიდატურების წარდგენის შესახებ

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის №151 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების წევრებად წარდგენილ იქნენ:

1. უმანგი ბახტაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი კონსულტანტი.

2. ნოდარ ბერიძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი.

3. მაკა თოდუა - თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი.

4. მარიამ ცქიფურიშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი.

5. ლევან გელოვანი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი კონსულტანტი.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი